# ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F1375/11197

№ 10, 3 აპრილი, ფ.40 თ.
გამოდის ყოველ ხუთშაბათს

## შეხვდი ნინი ქარსელაძეს პირისპირ





ა ფირმის
მობილური აქვს
ელა წურწუმიას



ამდენაე
ინდახელეულია
ათო ხუჯაძე



როგორ სიზმრებს ხედავს ლუკა სხირტლაძე



# კითხვა-პასუხი

**რ**ა ფირმის მობილური ტელეფონი აქვს ლელა წურწუმიას?



ლელა: – ერიქსონი, ბოლო მოდელი, რომელიც ჯერ არავისთვის შემიმჩნევია.

**რ**ამდენი წლისაა სოსო თოლორაია?

ნატალი, 17 წლის



– სოსო 24 წლისაა.

**რ**ა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაა დაბადებული თიკა ფაცაცია?

გიო, 18 წლის



– თიკა ზოდიაქოს ნიშნით სასწორია.

**რ**ამდენი წლისაა დათო ხუჯაძე და ჰყავს თუ არა შეყვარებული?

მადინა, 11 წლის



– დათო 27 წლისაა, რაც შეეხება შეყვარებულს მას ძალიან არ უყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, ამიტომაც ყოველთვის თავს არიდებს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას.

**ჩ**აწერს თუ არა დუეტს თამთა გოგუაძე თავის დასთან?

ეკა, 16 წლის



თამთა: - ჩემი და არ მღერის, ასე რომ, დუეტსაც არ ჩავწერთ.

**„რ**ონდოს" წევრები თელაველები არიან?



– „რონდოს" წევრებიდან დები ელენე და ლელა წარმოშობით კახეთიდან არიან.

**უ**ყვარს თუ არა ქეთა თოფურიას „ლომისის" ცივი ჩაი?



ქეთა: – მიყვარს და ვსვამ.

**რ**ამდენი წლისაა მამუკა ბერიკა?



მამუკა: – 43 წლის ვარ.

**რ**ომელ წელს დაიბადა მამუკა ონაშვილი?

ეკო, 14 წლის



– მამუკა დაიბადა 1967 წლის 1 ივნისს.

**რ**ომელ წელს დაიბადა მაცაცო სებისკვერაძე და როდის ჩაატარებს იგი თავის შემოქმედებით საღამოს?

დამუნა, 20 წლის



დათუნა გერსამია: – მაცაცო 1946 წელს დაიბადა, რაც შეეხება შემოქმედებით საღამოს, იგი ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი და თბილისობას ჩატარდება.

**რ**ომელი მომღერალია 1 მაისს დაბადებული?

გიო, 14 წლის.



– 1 მაისს დაბადებულია ბუკა ხუციშვილი.

**ვ**ის სიმღერებს იწერს ლელა წურწუმია?

ლიკა, 14 წლის



– ლელა იწერს ავთო ბადუაშვილის, მაია კაჭკაჭიშვილის და რუსა მორჩილაძის სიმღერებს.



**გ**ამოდის თუ არა „ქუჩის ბიჭები" „მეგას" დაჯილდოებაზე?

დეიკო, 15 წლის

– „ქუჩის ბიჭები" „მეგას" ცერემონიალზე მიწვეულია სტუმრის სტატუსით, ანუ თვითონ უნდა დააჯილდოვოს სხა ჯგუფი. ბიჭებისთვის ეს საინტერესო ამპლუაა.

**რ**ომელია ლელას ზოდიაქოს ნიშანი?

ანა, 13 წლის

– ლელა ზოდიაქოს ნიშნით მერწყულია.

გაზეთი “ფან-კლუბი” ჟურნალ “ოსკარის” დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

# კითხვა-პასუხი

**რ**ომელ წელს დაიბადა თემო რცხილაძე?
ქეთა, 12 წლის



– თემო 1960 წელს დაიბადა.

**ს**აიდან არის წარმოშობით ლელა წურწუმია?
თამუნა, 18 წლის



ლელა: – ხობიდან, ბავშვობა ხობში მაქვს გატარებული.

**რ**ოდის აქვს დაბადების დღე ავთო ცქვიტინიძეს?
ლია, 20 წლის



– ავთოს 24 ივლისს აქვს დაბადების დღე.

**რ**ა ზოდიაქოს ნიშანი აქვს ლილიკო ნემსაძეს?
ციკო, 18 წლის



– ლილიკო ზოდიაქოს ნიშნით ვერძია.

**რ**ა ჰქვია „ინტროსა" და დათო ხუჯაძის დუეტს?



დათო: - დუეტს ჰქვია „არ დამტოვო მარტო" და იგი ერთობლივია.

**რ**ა ჰქვია თეა გობეჯიშვილის ვაჟს?
ნინო, 15 წლის.



– თეას ვაჟს ნიკუშა ჰქვია.

**რ**ამდენი შვილი ჰყავს "დუეტას"?
ნანა, 17 წლის



– "დუეტას" ორი ქალიშვილი ჰყავს.

**ს**ად ცხოვრობს მარიკა თხელიძე?
ნატო, 14 წლის



– მარიკა საბურთალოზე ცხოვრობს, სასტუმრო „აჭარის" მიმდებარე ტერიტორიაზე.

**ს**ად ცხოვრობს მიშა მშვილდაძე?



მიშა: – ამჟამად ვცხოვრობ ვარკეთილის III მასივში.

**მ**აინტერესებს ლელას სიმაღლე და წონა.
თამუნა, 16 წლის



ლელა: – ვარ 56 კგ-ი, სიმაღლით 170 სმ.

**რ**ა ფერის თვალები მოსწონს პაატა ხაჩიძეს?
თაკო, 16 წლის



პაატა: - (იცინის) – შავი და მუქი ლურჯი, ისე გოგოს გააჩნია.

# ჭორულა-ჭორულა ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე, ცისანა სეფიაშვილისთვის სიმღერა სიცოცხლე, ბედნიერება და სიყვარული ყოფილა. „არ მინდა მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაგრამ ჩემთვის სცენაზე ყოფნა სამოთხეა. არა მგონია, ამ გრძნობას რაიმე შეედაროს. იგივე ის წვალება, გადაღება, ჩაწერა, მუშაობა, ყველაფერი ეს ჩემთვის ბედნიერებაა, სიმღერა და სცენა არის ის კუნძული, სადაც თავიდან ბოლომდე ვიკარგები" - ამბობს მომღერალი.



ძალიან თბილი, მოსიყვარულე და ბუნჩულა ბავშვი ყოფილა „ქუჩის ბიჭების" წევრი ირაკლი ნოზაძე. მაგრამ ამასთანავე ძალიან ცელქი, რადგან პირველი ვაჟიშვილი იყო, მამა ძალიან ათამამებდა – პატარა ირაკლის სუფრის თავში დასვამდა და სადღეგრძელოს ათქმევინებდა. თურმე, მეტსახელი „პიკასოს" ავტორიც მამამისი ყოფილა.



გია ჯოხაძეს ტექსტების წერის მუზა, თურმე ყოველთვის ღამე მოსდის. ამ დროს ყველას უნდა ეძინოს, არავინ არ უნდა დადიოდეს, არ უნდა დაუძახონ, იმიტომ, რომ ყოველივე ამას კონცენტრირება სჭირდება. მელოდიას დაახლოებით ორ კვირას ისმენს, თან თვითონაც მღერის, ასე უფრო ახლოა მუსიკა მასთან. თუ იგი დაამახსოვრდა უკვე ფრაზები მოდის, მერე ცდის, თუ როგორ იმღერებდა თვითონ.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



დათო ხუჯაძეს ისეთი შიში ჰქონია სტომატოლოგიის მიმართ, რომ მზადაა ორი, სამი კვირა, ან სულაც ერთი თვეც კი, მოითმინოს, ოღონდ კბილის ექიმს ნუ დაანახვებთ და... მაგრამ უკვე როცა შეატყობს რომ სხვა გამოსავალი აღარა აქვს, მხოლოდ მაშინ ძლივსღა ბედავს მასთან მისვლას. (არადა, კაცი, ამ დროს სტომატოლოგიურზე სწავლობდა. რას არ გაიგონებთ არა?).



არ გაგიკვირდეთ და თემურ თათარაშვილს არ ჰყვარებია ძალიან ჭკვიანი ქალი. ასეთ ქალთან ურთიერთობა სიძნელედ ეჩვენება. თემურს თუ დავუჯერებთ, ქალი ცოტა სულელიც უნდა იყოს თურმე. მაგრამ თუ დაიწყო ტანსაცმელზე ლაპარაკი, ეს ვიყიდე, ის ვიყიდეო და სხვა თემა არ აინტერესებს, მასთან ურთიერთობის სურვილი უკვე თემურს ეკარგება.



თურმე, ნინი ბადურაშვილს არანაირად არ გამოსდის სიმღერის დაწერა. ერთხელ მას და თაკო გაჩეჩილაძეს მოუნდომებიათ როიალთან სიმღერის დაწერა. მაგრამ მათი დიდი სურვილის მიუხედავად არაფერი გამოსვლიათ. სამაგიეროდ, ნინის ლექსების წერა ეხერხება, საერთოდ, ადვილად რითმავს, ამისათვის წვიმიანი ღამისა და სანთლების საჭიროებას არ მიიჩნევს. „შეიძლება სადარბაზოში მომაფიქრდეს და უცებ დავწეროო“ – ამბობს იგი.

## „ჩემი გულის მფლობელს“

### პაატა ხაჩიძეს!

გამარჯობა ჩემო ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, მე თქვენი ერთგული მკითხველი „ნეო“ ვარ, ნამდვილად ძალიან მიყვარხართ და დიდ პატივს გცემთ, მე ამ წერილს ვწერ ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს პაატა ხაჩიძეს, რომელიც ძალიან (სიგიჟემდე) მიყვარს, ძალიან გთხოვთ გამომიქვეყნოთ ჩემი რიგით მეორე წერილი თქვენთან, წინასწარ უდიდესი მადლობა.

მოგესალმები ჩემო ძვირფასო და უმშვენიერესო პაატა, ჩემო კარგო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, შენ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი, კეთილი და მშვენიერებით სავსე ადამიანი ხარ. ჩემო კარგო პაატა, მე ის პატარა გოგონა ვარ, რომელმაც სცადა შენი დავიწყება, გადაყვარება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რომელმაც კონცერტზე „ერთი ქუჩის ამბავი“ პატარა ბავშვივით იტირა შენს დანახვაზე, რომელმაც სიონში დაგინახა და ვერ მოგიახლოვდა. ჩემო ძვირფასო პაატა, მე მაქვს შენთვის ორადორი კითხვა და ძალიან გთხოვ უპასუხო ამ კითხვებს.



1) პატიკო, სად შეიძლება შენი გაცნობა? – ოღონდ კონცერტების გარდა, რადგან მე ბევრჯერ ვცადე და არაფერი გამოვიდა. 2) ჩემო მშვენიერო პატიკო, ძალიან მაინტერესებს თუ კითხულობ ჩემს წერილებს ამ უმშვენიერეს გაზეთში და თუ კითხულობ, როგორ მოქმედებენ ეს წერილები შენზე, დადებითად თუ უარყოფითად, ძალიან გთხოვ პასუხი გამეცი და გული არ გამინახევრო. პატიკო, მე მინდა შენ ამქვეყნად გისურვო დაუსრულებელი წარმატებები და უზარმაზარი ბედნიერება, შეგექმნას ისეთი ოჯახი, როგორიც შენს გულს სურს, დაე, მთელი შენი სიცოცხლე ღმერთი და ანგელოზები გფარავდნენ. პატიკო, მე უბრალოდ ერთ რამეზე ვწუხვარ და ალბათ გამიგებ, იცი ჩემო კარგო:

„საქმროდ დიდი ხარ,
მამად კი პატარა“.

**“ნეო”**

*(სტილი დაცულია)*

პაატა: – “ნეო”, შენ შეგეძლო “ფან-კლუბის” მეშვეობით გაგეცანი, რატომ არ მოხვედი? რაც შეეხება წერილებს, მე ისინი წაკითხული მაქვს, რისთვისაც მადლობას გიხდი. გფარავდეს ღმერთი.

## ჩემს საყვარელ „ოსკარსა“ და „ფან-კლუბს“

მივესალმები ჩემს საყვარელ ჟურნალს, მათ მკითხველებს და ჩემს უსაყვარლეს მომღერალ ბრიტნი სპირსს.

მე საშუალება მომეცა თქვენი დახმარებით გამომეხატა თქვენდამი სიყვარული. სულმოუთქმელად ველი თქვენი ჟურნალის გამოსვლას და იმედი მაქვს ამ დიდ სიამოვნებას ამისრულებთ და გამოაქვეყნებთ ჩემს წერილს.

**ბრიტნი სპირსს!**

ბრიტნი, შენ ჩემი სიყვარული ხარ, მე შენ ამას გწერ, როგორც მეგობარი, როდესაც დაგინახე და რადიოში გავიგონე შენი ხმა, მაშინვე სიყვარულის გრძნობა აღმეძრა შენდამი. მე შენი პატარა ფანი ვარ. შენი სილამაზით მოხიბლულმა და შენმა დამტკბარმა ბულბულივით ხმამ ჩემში აღძრა



გრძნობები. იმედია, ეს გრძნობა არასოდეს გაქრება. ამ წერილს გწერ მთელი 36-ე სკოლის სახელით. დიდი მონიწებით: თეონა ხაჩიძე, ბექა გვიშიანი, მარიკა არახამია, თეონა ჭედელაშვილი, “ტანჯულა” – სალომე სირბილაძე, ანა შანიძე და მე – ნათია აბრამიძე.

ჟურნალ „ოსკარს“ ან „ფან-კლუბს“, ვთხოვ ეს წერილი ბრიტნი სპირსის სურათთან ერთად გამოაქვეყნოს.

ულრმესი პატივისცემით:
**ნათია აბრამიძე,**
12 წლის ქ.ქუთაისი

*(სტილი დაცულია)*

## ჩემ სიცოცხლეს – ლელა წურწუმიას

გამარჯობა ძვირფასო „ფანკლუბელებო“, მე თქვენი ერთგული მკითხველი სოფიკო ექიზაშვილი ვარ. თქვენთან წერილს პირველად ვწერ და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გამომიქვეყნებთ. წერილს ვწერ ყველაზე კარგ მომღერალს, ყველაზე კარგ და საყვარელ ადამიანს, ყველაზე კარგ დედას ლელა წურწუმიას.

მოგესალმებით ჩემო სიცოცხლე ლელა, მე შენ ძალიან მიყვარხარ, ამქვეყნად ყველაზე საყვარელი ადამიანი და პიროვნება ხარ, შენსავით მთელ დედამიწაზე არავინ მიყვარს, შენ ჩემს ცხოვრებას სიხარულით ავსებ, მე მინდა გისურვო დიდი წარმატება შენს შემოქმედებაში, უდიდესი,



უზარმაზარი ბედნიერება შენს მეუღლესთან და პატარა ანგელოზ მარიკოსთან ერთად. ჩემო ანგელოზო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემს ცხოვრებაში ფრთებშესხმული ანგელოზი ხარ, გისურვებ ულევ ბედნიერებას.

შენი ფანი,
**სოფიკო ექიზაშვილი**

*(სტილი დაცულია)*

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი “ფან-კლუბი“ აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო სუვენირის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა წითელპერანგა პატარა ბიჭზე.



2. სიმღერა შვითფერა ბუნებრივ მოვლენაზე.



3. სიმღერა უაზროდ მეოცნებე ადამიანზე, რომელსაც არ უნდა სატრფოს გული ატკინოს.



4. სიმღერა ანგელოზთა გალობაზე და ზეციდან მოვლენილ წყალობაზე.



5. სიმღერა გაფრენილ ბავშვობაზე.



მუსიკალური ვიქტორინა №7.

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი

## ზურა ხაჩიძეს

გამარჯობა „ფან-კლუბელებო!“ ეს ჩემი პირველი წერილია და გთხოვთ უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მე მინდა თქვენი დახმარებით მოვესიყვარულო ჩემს უსაყვარლეს ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრ ზურა ხაჩიძეს. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

ზურა, ჩემო ლამაზო, მინდა გითხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარხარ, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. ჩემს ცხოვრებას უშენოდ აზრი არ აქვს. შენ ჩემთვის ანგელოზი ხარ, მე კი შენთვის პატარა ბავშვი, რომელსაც შენზე ჭკუა ეკეტება. მინდა გითხრა, რომ ყოველთვის „შენთან ვიქნები“, მინდა გითხრა, რომ „შენზე ფიქრები მაღვიძებდა, შენზე ოცნება მაფიქრებს“, მინდა გითხრა, რომ ყოველთვის „ოცნებების სამყაროში“ გხვდები. „მინდა გიყვარდე“, ისე როგორც მე მიყვარხარ. მინდა მოგეფერო, გაკოცო და შენს გვერდით ვიყო სიცოცხლის ბოლომდე. „მინდა შენი სიყვარული დავხატო, მინდა შენთან ყოფნით გამათბო“. ყოველ ღამეს არ მაძინებს „ოცნება შენზე“. შენ ჩემი სუნთქვა ხარ. მინდა იცოდე, რომ ყოველთვის მეყვარები. „ლამაზი ღამე“ მინდა შენთან ერთად გავატარო, შენ ჩემი სიცოცხლის ნაპერწკალი ხარ. „მე ხომ ყველაფერი შენსავით მიყვარს“ ჩემო სი-



ხარულო. შენმა სიყვარულმა ლექსი დამაწერინა, რომელსაც გიძღვნი შენ:

„ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო ცხოვრებავ,
შენზე ფიქრებით ვსუნთქავ
და ვცოცხლობ.
შენ მე მასწავლე ის სიყვარული,
ჩემს გულში დღემდე, დღემდე
რომ ბუდობს.
მინდა გითხრა, რომ შენსა
სიყვარულს
შევეწირები პატარა ბავშვი,
შევეწირები და არც ვინანებ,
რადგანაც უკვე დავიგვიანე.
მინდა გითხრა, რომ
მიყვარხარ ძლიერ,
მინდა გითხრა, რომ დიდხანს
იცოცხლე,
შენზე ფიქრებმა მთლად
გადამრიეს.
შენი თვალები ჩემი ცრემლია
რომელიც დიდხანს
გამაწვალებს.“

დიდი სიყვარულით
მაკა გუმბელიძე,
14 წლის, ქობულეთი

## ჭორლა-ჭორლა ამბები



თუ ძალიან გააბრაზებთ გოგოლა კალანდაძეს, შეიძლება იტიროს კიდეც, ან საერთოდ ხმა ვერ ამოიღოს. გაბრაზების სხვადასხვა ხარისხები აქვს თურმე გოგოლას, ზოგჯერ შეტევაზე გადადის ხოლმე და იწყებს მამაპაპურ გინებას და თან ფრიად ორიგინალურადაც. მიუხედავად იმისა, გოგოლა კონფლიქტური არ ყოფილა, იგი ხშირად თავს არიდებს ისეთ ადგილებს, სადაც აბრაზებენ. (სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ხომ გაგიგონიათ).



ნანიკო ხაზარაძის ოცნება ბავშვობაში მანეკენობა ყოფილა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ მისთვის გული გაეკეთებინათ, ეუბნებოდნენ: „შენი გაბარიტების წყალობით პოდიუმზე ვერასოდეს მოხვდებიო“. ნანიკოს იმედი ჰქონდა, რომ შემოვიდოდა ისეთი სილამაზის სტანდარტი, როგორიც მას ჰქონდა, ცოტა დაბალი და ცოტა ხორციანი. სამწუხაროდ, ნანიკოს ბავშვობის ოცნება წყალში ჩაიყარა... ვერ გახდა მანეკენი.



თურმე, ბაკურ ბაკურაძე სცენაზე გასვლის წინ ყოველთვის ნერვიულობს და ეს მისთვის ჩვეულებრივი მომენტი ყოფილა. სცენაზე გასვლამდე იგი ერთ ჭიქა კონიაკს გეახლებათ. ხოლო, თუ რაიონებში და დიდ კონცერტებზე გამოდის შეიძლება ერთი ბოთლიც კი დალიოს.

„ეს, რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ მოქმედებს, უფრო მეტს ვმაიმუნობთ, ვლადაობთ და ვერთობით“ – ამბობს ბაკური.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ — ᲖᲣᲠᲐ ᲮᲐᲩᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, ძალიან მიყვარს თქვენი გაზეთი. ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ და უყურადღებოდ არ დამტოვოთ. ეს ჩემი მეორე წერილია.

ზურა, მე შენ ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემი პირველი სიყვარული ხარ. სულ შენზე ვფიქრობ, ვარ შენზე შეყვარებული მინდა, რომ შორიდან დაგინახო და მოგეფერო, მე შენი პლაკატებით ვოცნებობ. ზურა, მინდა, რომ შენც გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ, მაგრამ შენ არც კი მიცნობ, დიდი მადლობა რომ წაიკითხე ჩემი პირველი წერილი. ზურა მე შენ ყოველთვის მეყვარები და არასოდეს დაგივიწყებ. ვგრძნობ, რომ სიგიჟემდე მიყვარხარ მინდა რომ ახლოს გაგიცნო, ძალიან მომწონხარ, შორიდან მინდა გეფერო, სულ შენ სიმღერებს ვუსმენ. ზურა, ჩემო სიცოცხლევ ნეტავ იცოდე როგორ ვიტანჯები, როცა დავდივარ ქუჩაში სულ შენ მელანდები და მესიზმრები. ერთი საათი არ გავა რომ არ შემოგხედოთ მე სულ შენს პლაკატებს ვუყურებ. ზურა, ძალიან კი მოგაბეზრე თავი ამდენი წერილით, მაგრამ მე შენ ძალიან მაგრად მიყვარხარ და სულ შენ მეყვარები. ზურა, ამ ლექსს შენ გიძღვნი.

ᲖᲣᲠᲐ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ
ᲓᲐ ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ

**„მინდა შენი სიყვარული**
**დავხატო.**
**მინდა შენთან ყოფნით**
**გამათბო**
**მენატრები უსაშველოდ**
**მენატრები**
**გეტყვი ერთს ამ ღამეს გეტყვი**
**ერთს**

**გჯეროდეს, გინდოდეს.**
**ღამე ისევ მარტო ვარ მე**
**ჩემი სული გეძებს.**
**ნუთუ ვნებას გაუძლებ**
**შენ უშენოდ**
**ეს ღამე ჩვენ გამათბე კარგო**
**ეს ღამე გრძელია მე გაგიმხელ**
**ჩემს სიყვარულს“.**

**დიდი სიყვარულით და**
**პატივისცემით ზურას.**
**შენი ფანი ᲔᲙᲐ, 20 წლის**
*(სტილი დაცულია)*

**P.S.** მე-9 ნომერში ზურასადმი მიძღვნილ წერილში ერთ-ერთი ფანი ითხოვდა მომღერლისგან პასუხის გაცემას კითხვაზე სად შეიძლება მისი გაცნობა, რომელსაც ზურამ ასე უპასუხა:

– შენ შეგიძლია ზაფხულში ჩამოხვიდე თბილისში და “ფან-კლუბის” საშუალებით შემხვდე.

## ᲚᲔᲚᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

გამარჯობა „ფან-კლუბელებო“, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ძალიან მიყვარხართ. მიყვარხართ იმისთვის რომ ასეთი კარგები, ნიჭიერები და იდეებით დახუნძლული ხალხი ხართ. მოდით, იმ თქვენ იდეას გაუმარჯოს, რომელსაც „ფან-კლუბის“ დაარსება ჰქვია. მინდა დიდი წარმატება გისურვოთ თქვენს შემოქმედებით კარიერაში და თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ეს ლექსი მივუძღვნა უმშვენიერეს ლელა წურწუმიას.



„დამტკბარა გრძნობით ლამაზი
გული
სული კი ტკბება სიბრძნითა
შენი,
სიბრძნე აყვავდა ერთადერთ
ფერში
ფერი კი არის ლამაზი თეთრი.

თეთრად აყვავდა გვირილა,
ვარდი
და სხვა მრავალი ყვავილი
შენთვის,
შენ ხარ ლამაზი უთვალავ
ფერში
და სიყვარული გიხდება ერთი.

შენი ხმით ატკბობ ჩვენს ერსა
ლაღად,
ლაღად წარმოთქვამ სიტყვებსა
გრძნობით,
გრძნობით გპასუხობს ერი
ქართველი,
რომ შენ ხარ ნაზი, სათუთი ქალი.

გაჰყვება რამეს, მთვარე და ღამე,
ამოვა მზე და ინათებს ღამე,
ღამე ლამაზი, ვარსკვლავით სავსე,
ვარსკვლავი ნაზი, შენსავით ლაღი.

სიყვარულია ერთ-ერთი გრძნობა,
რომელსაც უნდა სიფრთხილე
მუდამ,
და მის დაკარგვას ვერ შეელევა,
თუნდ შენ მამაცი იყო მარადი.

სიყვარულია მფრინავი გრძნობა
ვირუსი ერთი, ადამიანში
სიყვარულს ყვარობს ყოველი ერი
უჭკუო, ჭკვიანი, სულელი, ბრძენი.
გაირბენს დრო და კვლავ
მეყვარები,
და მეყვარება სიმღერა შენი,
შენი ხმით თქმული
მრავალი ლექსი,
ლექსის ბგერებით თქმული
ციტატა.

შენთვის მე ვცოცხლობ,
რათა ვუსმინო
შენ ხმით თქმულსა, ლამაზ სიტყვებს,
ღმერთმა გიბოძა ეს ნიჭი შენა,
გამრავლდი, იხარე გვიყვარხარ
ყველას“.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას. იმედია გამოაქვეყნებთ, მე თქვენი ყოველთვის მჯერა და არც ახლა მიღალატებთ: მადლობა.

**ᲒᲘᲝ ხ. 17 წლის**

## ᲒᲝᲩᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ

მოგესალმებით „ფან-კლუბის“ კოლექტივს, დიდი მადლობა იმისთვის, რომ საშუალებას გვაძლევთ მივმართოთ ჩვენს კუმირებს. მე მინდა წერილი მივწერო გოჩა თანდარაშვილს.

გოჩა, მინდა გისურვო ყველაფერი კარგი რაც კი არსებობს. მინდა გისურვო იმ ულამაზესი ფიქრის ახდენა, რომელიც ოცნებად გაქვს გადაქცეული. ჩემს თავსაც ვუსურვებ ისეთი ოცნების ახდენას, რასაც შენი გაცნობა ჰქვია. მინდა ბედნიერი იყო შენს ლამაზ ოჯახთან და ლამაზ დედიკოსთან ერთად. ქალბატონი ბაია თანდარაშვილი მე არ მასწავლის, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ჩემი საყვარელი მასწავლებელია. მე მას დიდ პატივს ვცემ. ალბათ, მიხვდი, რომ 117-ე სკოლაში ვსწავლობ და არ გამიჭირდება არც შენი გაცნობა და არც შენი ავტოგრაფის აღება. ვიცი, რომ შენ ამის წინააღმდეგი არ იქნები. ხშირად გიძღვნით სიმღერებს შენც და ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელს ქალბატონ ბაიას. მე დროებით გემშვიდობები და იმედია მალე ავისრულებ ჩემს ნატვრას.

**დიდი პატივისცემით**
**ᲠᲣᲡᲘᲙᲝ ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**15 წლის**

## ᲓᲐᲗᲝ ᲮᲣᲯᲐᲫᲔᲡ



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, არც კი ვიცი როგორ მოგესალმოთ, ეს პირველი წერილია და ჩემი ცოტათი ვღელავ. მინდა ჩემი წერილით აღვწერო ჩემი სიყვარული დათო ხუჯაძისადმი, თქვენ ჩემი ბოლო იმედი ხართ. ულრმესი მადლობა წინასწარ.

მოგესალმები ძვირფასო დათო, მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ, ღმერთმა ბედნიერება მომანიჭა, რომ შენი ხმა გამეგო ტელეფონით, უფრო სწორად ჩემმა დაქალმა დაგირეკა, თქვენ საუბრობდით მე კი კუთხეში მიმჯდარი ვტიროდი სიხარულისგან, რადგან შენი ხმის გაგონება გულზე შვებად დამეფინა, შენ მალევე დაემშვიდობე ჩემს დაქალს და ორივემ დაკიდეთ ყურმილი, მაგრამ მე ისევ ვტიროდი და ღმერთს მადლობას ვუხდიდი იმისთვის, რომ შენი ხმა გამეგო, დათო, სიგიჟემდე მიყვარხარ.

**შენზე გაგიჟებული ᲗᲐᲗᲘᲐ ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ, 13 წლის.**
*(სტილი დაცულია)*

# კითხვა-პასუხი

**მ**ეგობრობენ თუ არა ქეთა და ლელა?

მიშიკო



– ასაკის სხვაობიდან გამომდინარე ქეთა და ლელა არ მეგობრობენ, ისე კი მათ ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ.

**რ**ა ჰქვიათ მარიკა თხელიძის მშობლებს?

ნატა, 14 წლის



– მარიკას დედას თეონა ჰქვია, მამას (გარდაცვლილია) ნიკო ერქვა.

**ა**პირებს თუ არა სამომავლოდ ლელა შვილთან დუეტის ჩაწერას?



ლელა: – რა თქმა უნდა, ძალიან ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. მარიკო ძალზედ პატარა საამისოდ, რომ მისი სმენა შემოწმდეს.

**ჰ**ყავს თუ არა შეყვარებული სალომე გასვიანს?

გიორგი სტურუა



სალომე: – არა, მე შეყვარებული არ მყავს.

**წ**ინდახედულია თუ არა დათო?

თაკო, 14 წლის



დათო: - რა თქმა უნდა ვარ წინდახედული.

**რ**ამდენი წლისაა გია ჯოხაძის შვილი გიგი და სად ისვენებს გია ზაფხულობით?

ნატო, 16 წლის



გია: – გიგი 3 წლისაა, ზაფხულობით კი კოჯორში ვისვენებთ.

**ბ**ერიკას ჰობი.



ბერიკა: – გამოკვეთილი ჰობი არ მაქვს.

**რ**ოდის არის ქეთას დაბადების დღე?

ნუკა, 12 წლის



– 9 სექტემბერს.

**რ**ოდის გამოუშვებს „უტოპია" ალბომს?

თინიკო, 16 წლის

– ჯგუფ „უტოპიამ" უკვე გამოუშვა ალბომი და იგი გაყიდვაშია.

**ს**ად გაიცნეს ერთმანეთი ლელამ და „მამულიჩამ"?

ეთუნა, 13 წლის



– ლელამ და „მამულიჩამ" ერთმანეთი რესტორან „ევროპაში" გაიცნეს.

**რ**ოგორია მთვრალი ზვიო?



– როგორც გავიგეთ, ზვიო საერთოდ არ სვამს.

**რ**ოგორ სიზმრებს ხედავს "დუტა"?



"დუტა": – უფრო შავთეთრს.

## ჭორულა-ჭორული ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად თემო რცხილაძეს საბავშვო ბაღში შეყვარებია გოგო, თანაც ძალიან სერიოზულად. ერთხელაც რომ ველარ მოითმინა, ამდგარა და მის გვერდით დაწოლილა. როგორ არ ეხვეწეს ადექიო, მაგრამ პატარა თემო ყველას გაოცებული უყურებდა, უმტკიცებდა, ჩემი ცოლია და რატომ უნდა ავდგეო.



იცით თუ არა, ვინ და რატომ შეადარა „რონდოს" გოგონები შიმპანზეებს. ეს იყო მაშინ, როცა ისინი „იუმორინაში" მონაწილეობდნენ. თურმე, ჯემალ ბაღაშვილს გოგონები წინასწარ გაუფრთხილებია, სცენაზე გასვლისას, კიბეებზე როდესაც ჩამოხვალთ, ოთხივემ ერთად დაუკარით თავიო. „რონდოელებს" კი თავის დაკვრა ცალ-ცალკე გამოსვლიათ. „კულისებში რომ შევედით, ჯემალი გვეუბნება, კი მაგრამ, შვილებო, ასე ვირტუოზულად მღერიხართ, მაგრამ შიმპანზეებს ასწავლიან თავის დახრას და თქვენ რით ვერ ისწავლეთო" - მკაცრად და ხმამაღლა დაუყოლებია. იმ ღამეს გოგონები, თურმე, თავის დაკვრაში მეცადინეობდნენ და მეორე დღეს შექებაც დაიმსახურეს.



კახა კუხიანიძეს ჩაცმასთან დაკავშირებით ყოველთვის პრობლემა ჰქონია. მაგალითად, თუ მეორე დღეს კონცერტი აქვს, წინა ღამეს ფიქრობს რა ჩაიცვას. მაგრამ რად გინდათ, მეორე დღეს ან აღარ ახსოვს რის ჩაცმას აპირებდა, ან სულ სხვა ხასიათზეა. მერე კი ახლობელს ურეკავს და რამე ამომირჩიეო ეუბნება.

# ერთხელ მაინც მეკითხეთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა



– რავალი მზიანი ამინდები დაგვიდგა, თუ ხედავთ! გარეთ რომ გამოვალ და მზეს მივაფიცხებ ბებერ ძვლებს, მერე სახლში შესვლა არც მინდა. ქე არ მევიდა გაზაფხული რავარც იქნა?! იმფერი სხივები შემოდის ჩემს ოთახში დილაობით, რომ ალტაცებული ნამოვხტები ხოლმე და ფეხშიშველი აივანზე გავრბივარ. დევიწყო ჩემი ჭორები? კაი მაშინ.

– ამერიკაში ყოფნისას ჩვენი მომღერლები – ლელა და აჩიკო ამერიკელებს ჰოლივუდის ვარსკვლავები ჰგონებიათ. ისინი თურმე ბეწვეულში ისე



ყოფილან გახვეულნი, რომ ქე ჩანდნენ ქუჩაში რომ მოდიოდნენ გალიცინებივით. ზემოთ ბეწვი, ფეხზე ბეწვი, ქურქიმურქი და ქე დააყვლეპინეს თვალები იქოურებს. თურმე, ლელას ყკელა გამვლელ-გამომვლელი ფეხებზე უყურებდა, მისი ბეწვის ფეხსაცმელი ეუცხოვათ და თვალებს არ აშორებდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რაფერ ჩოუვლიდნენ გვერდზე, აი, ჰოლივუდის „ზვეზდა“ ხომ არააო. მერე აჩიკოს კბილის პასტა გათავებია და დილით ნომრიდან გამოყოფდა თურმე ჯაგრისით ხელს და „მამულიჩა“ დოუსხამდა პასტას. ხომ ხედავთ რაფერ ზრუნავდნენ მეფარიქის კარიესზე?!

* * *

– სტეფანე ისთე ემზადება თავისი სოლო კონცერტისთვის, რომ მის შემხედვარეს მხოლოდ ერთი სიტყვა ამოგიტივტივდება – პროფესიონა-



ლი. ქეა მერე ეს ბიჭი მისი საქმის პროფესიონალი. უნდა ნახოთ რაფერ აგვარებს მის კონცერტთან დაკავშირებულ საკითხებს – მუსიკოსების საკითხი გინდა, თუ უბრალო განათების. დღე და ღამე იმის ფიქრშია, რაფერი გამოვა სპორტის სასახლის კონცერტი. მომღერალი ისეა გართული მთელ ამ ამბებში რომ, მგონი, საკუთარ თავზე საფიქრელად არ სცალია. ვასასი ნუ მოგიკვდებათ და ნახავთ თქვენი ჟუჟუნა თვალებით მაი გაფიჩხული ბიჭი რამდენს მოაკვარახჭინებს და რამდენს მიაღწევს, ნახეთ თქვენ. მე ქე მაქვს „სტიოპკას“ იმედი. ვიცი, ცუდს და უხარისხოს არაფერს შემოგთავაზებს, მაგი კაი გაცვეთილი ვინმეა, – თქვენ ვერ მასწავლით მაგის ამბავს.

* * *

– ასე ვზრუნავ თქვენთვის, მთელი დღეები ენაგადმოგდებული დავრბივარ და ვეძებ ჭორებს, ხან სად მივადებ ყურს და ხან სად. რა მოგივიდათ, რამ გადაგრიათ, ერთხელ მაინც დარეკეთ და მადლობა გადოუხადეთ თქვენს სამსახურში მკვდარ ვასასის! ამ ჭორის გასაგებად რა არ გადამხდა თავს. ხან ფეხი გადამიბრუნდა და ტყლაპოში ჩავვარდი, ხან ლილი ამწყდა პალტოზე. მოკლედ, არაფერს ვე-



რიდები, ოლონდაც რაიმე თქვენთვის საინტერესო გევიგო და მევიპოვო. ჩვენი დათო ხუჯაძე სულ მალე კლიპის გადალებას აპირებს. როგორც ამბობენ, მომღერალი კლიპში გადასალებად არჩევს მაღალ, ლამაზ გოგოს. მოგეხსენებათ, რამდენი შხვანთალა გოგო დადის თბილისის ქუჩებში. დათოს გადაწყვეტილი აქვს, თუ ვერ იპოვა მისთვის მოსაწონი და სასურველი გოგონა, საერთოდ ქალი არ გადაიღოს ამ კლიპში. აბა, ვისაც მოგწონთ საკუთარი გარეგნობა და თვლით, რომ იმ სტანდარტებში ჯდებით, რაც მომღერალს სურს, მაშინ „წევიდა ჰეეე...“

* * *

– იმას შემევევლე, რაფერი კაი გოგო ჰყავს ცისანას რომ იცოდეთ, გაგიჟდებით. ისეთი ჟუჟუნა და კამკამა თვალები აქვს, აქედანვე ეტყობა, როგორი მინაზებული და საყვარელი ბავშვი იქნება. ისთე სასაცილოდ და საყ-



ვარლად აფახულებს თვალებს, რომ წამსვე დედამისი მოგაგონდებათ. ცისანა ძალზედ ბედნიერია, გოგო მინდოდა, ბიჭი ქე მყავდაო. ახლა, მამა, სოსო უნდა ნახოთ, რა გაბადრული და ბედნიერია. ქალიშვილს არ სცილდება, სულ მის გვერდითაა, მძინარეს თვალმოუშორებლად უყურებს და ეფერება. პატარა კატომ ჯერ რა იცის რა მშობლები ჰყავს, მხოლოდ ჭამს და სძინავს. ზოგჯერ ღამეს ათევინებს დედას, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია, პატარა ჯერ რეჟიმში არ ჩამდგარა.

* * *

– უი, უი, რავა იპრანჭება კახა კუხიანიძე. ჯერ იყო და რავალი სექსუალური კლიპი გადეიღო, რა იყო, ჭიპამოგდებული გოგონები რომ გამოჭიმა ეკრანზე?! ვის გოუკვირდებოდა ახლა მათი დანახვა, მარა რეჟისორის ხედვააო, იტყვიენ და ქე მოსწონთ ამისთანა ვიდეოები. მერე ეს ჩვენი შვლის თვალება ბიჭი ის-



თე დეიხვეწა და ისთე გამოქესკინდა, რომ ტყუილია. ისე სტილით და იმიჯით ტარკანს მომაგონებს და თქვენი არ ვიცი. ჰოდა, რას ვამბობდი, კახას ინსტიტუტში ერთი გოგო მოსწონს თურმე, დღე და ღამე იმ გოგოზე ფიქრობს. ირგვლივ მყოფებს სულ მასზე ელაპარაკება. ერთხელ სტუდიაში შესულს ვერაფრით ვერ ჩაუწერია სიმღერა, მენატრება და ვერ ვიმღერებო, განუცხადებია საკუთარი ძმისთვის. უყურე შენ, რანაირი მგრძნობიარე ყოფილა კახა!

* * *

– თამთა გოგუაძეს აშკარად ვატყობ, რომ ვილაცას ეპრანჭე-



ბა. ჯერ ვერ დავადგინე ვის. რალაც მგონია, რომ ჯგუფის წევრი უნდა იყოს, მარა რომელი ჯგუფის, დანამდვილებით მაგას ვერ ვიტყვი. ქე გეცოდინებათ, რომ მე ფაქტებით მიყვარს ლაპარაკი. ჰოდა, სანამ არ დავაზუსტებ რომელია და ვინაა, მანამ არ ვიტყვი, ეგლა მაკლია ახლა სახელი და ჩემი რეპუტაცია წევიხდინო დოუზუსტებელი ინფორმაციებით. აბა, თქვენ იცით, მომავალ ხუთშაბათამდე!

# კითხვა-პასუხი

რამდენი წლისაა დევიდის და ვიქტორიას ვაჟიშვილი ბრუკლინი?



– პატარა ბრუკლინ ბექჰემი 4 წლისაა.

მაინტერესებს, "BSB"-ის წევრების ასაკი (ნიკის გარდა).



– AJ 1978 წლის 9 იანვარს დაიბადა.
ჰოუი D – 1973 წლის 22 აგვისტოს.
ბრაიან ლაიტრელი 1975 წლის 20 თებერვალს.
კევინ რიჩარდსონი კი 1971 წლის 3 ოქტომბერს.

„BSB"-ის სოლისტის სახელი...

– ლი.

რომელ წელს დაიბადა ტომ კრუზი?



– ტომი დაიბადა 1962 წელს.

რომელი ცნობილი მომღერლის მოცეკვავე იყო JLO რამდენიმე წლის წინ?



– ჯენეტ ჯექსონის.

რამდენი წლისაა რიკი მარტინი?



– რიკი 32 წლისაა.

რომელია "N'sync"-ს ყველაზე ასაკიანი წევრი?




– ვო ფატონი.

რომელ წელს დაიბადა ნიკ კარტერი?



– 1980 წლის 28 იანვარს.

რა ჰქვია "N'sync"-ის პირველ სინგლს?



– "I Want You Back"

„Blue"-ს რომელ წევრს უყვარს „Atomic kitten"-ის ლიზი?



– ლის.

მაინტერესებს Kylie Minogue-ს სიმაღლე...



– 150 სმ.

მართალია, რომ ემინემი თავისი შვილის ამღერებას აპირებს?



– არა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

რამდენ კილოგრამს იწონის დევიდ ბექჰემი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

– 73 კგ-ს.

რა სიმაღლისაა დევიდ ბექჰემი?

– დევიდი არის 180 სანტიმეტრი.

რა ჰქვია ემინემის ბოლო ალბომს?



– „The Eminem show".

ფილიპი და ალა ერთმანეთს ოფიციალურად დაშორდნენ?



– არა, ისინი კვლავ ერთად არიან.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



ქეთა თოფურიას პირველი ორიანი ფიზიკაში მიუღია. „მეკეთა საათი და საათის საშუალებით მასწავლებელს მზის სხივს ვუჭყიტინებდი. ამის გამო ორიანი დამიწერა“. ხშირად მასწავლებლების სკამებზე ცარცს ვუსვამდი და მერე ვხალისობდი, კაბები რომ ესვრებოდათ, თანაკლასელებს კი ჭიკარტებს ვუდებდი“. აი, ასეთი მავნებელი ბავშვი ყოფილა ქეთა თოფურია.



მოდი ვნახოთ, არის თუ არა მაია ჯაბუასათვის ფული აუცილებელი და უყვარს თუ არა, მისი ხარჯვა. – „ფული არის აუცილებელი რამ... ანუ ის, რაც საჭიროა ადამიანისათვის. ძალიან მიყვარს ფულის ხარჯვა, რადგან ფული არა მარტო იმისთვის არის საჭირო, რომ იარსებო, არჩინო ოჯახი... მას დიდი სიამოვნებაც მოაქვს. შეგიძლია გაახარო სხვა ადამიანები და ამით თავადაც ისიამოვნო. არასდროს მიმიჩნევია, რომ ბევრი ფულის ქონა ცოდვა ან სირცხვილია. უბრალოდ, მისი სწორად გამოყენება უნდა შეგეძლოს“.



გია გუმბერიძის აზრით, ქართველ ქალს ზედმეტი ემანსიპირებულობა არ უხდება. ქალმა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, რომ ის ქალია და რაც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია, თავს უნდა მოუაროს. არა აქვს მნიშვნელობა, მუდამ სახლშია, დიასახლისობს თუ რაღაც დიდი „პოსტი“ უჭირავს სამსახურში.

# გასართობი გვერდი

მოცემული ასოებით შეადგინეთ სიტყვა




ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენად ერკვევი შოუ-ბიზნესში?

გაზეთ “ფან-კლუბის“ საშუალებით თქვენ შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა, თუ რამდენად ერკვევით შოუ-ბიზნესში. ყველა კითხვას თავზე მოთავსებული აქვს სირთულიდან გამომდინარე ქულები 1-დან 5-ის ჩათვლით. პასუხები გამოქვეყნებულია მე-15 გვერდზე.

**4 ქულა**
ვის ეკუთვნის თამთა გოგუაძის სიმღერა „ერთი პატარა ამბავი“

**3 ქულა**
რომელი მსახიობი გახდა ფესტივალ „ოვაციაზე“ ყველაზე მუსიკალური მსახიობი.

**3 ქულა**
ვინ არის გადაცემა „მელომანიას“ ხელმძღვანელი.

**3 ქულა**
რომელ წელს ჩაწერა ლელა წურწუმიამ სიმღერა „სიზმარი“.

**1 ქულა**
რომელი ჯგუფის წევრია ლელა ოთარაშვილი.

**2 ქულა**
ვის მიჰყავს პროგრამა “მომბე” საღამოს 8 საათზე.

**1 ქულა**
ვინ ასრულებს სიმღერას „თეთრი რაში“

**2 ქულა**
ვის მიჰყავს გადაცემა „ხალხის პირისპირ“.

**5 ქულა**
სად მოაწყო ქეთა თოფურიამ აჩი ფურცელაძესთან ერთად ჩაწერილ სიმღერაზე „გვეყვარება ერთმანეთის“ კლიპის პრეზენტაცია.

**1 ქულა**
ჰყავს თუ არა ძაღლი ქეთა თოფურიას?

**3 ქულა**
რამდენი წლისაა ნინი ქარსელაძე.

**2 ქულა**
ვინ გადაიღო „ქუჩის ბიჭების“ პირველი კლიპი.

### დაითვალეთ ქულები:

0 ქულა: თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით შოუ-ბიზნესში და ალბათ, არც ჟურნალი „ოსკარი“ წაგიკითხავთ ყურადღებით.

1-დან 3-მდე: შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა გვერდზე რომ ჩაგიარონ ან იცნობთ და ან ვერა. თუმცა, ცოტ-ცოტა რამ მაინც გაგეგებათ.

0-დან 8-მდე: სულ ცოტა ხანია, რაც დაინტერესდით შოუ-ბიზნესის ამბებით. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, თქვენი პასუხებიდან გამომდინარე.

8-დან 15-მდე: შეიძლება საფუძვლიანად ვერ ერკვევით ქართულ შოუ-ბიზნესში, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ალბათ, რომელიმე ჟურნალში ერთი წლის მერე სამსახურსაც იშოვით.

15-დან 25-მდე: ყოჩაღ, ალბათ „ოსკარის“ არც ერთ ნომერს არ ტოვებთ და გაზეთ „ფან-კლუბის“ დახმარებით თქვენს კუმირს უამრავ კითხვას უსვამთ.

15-დან 35-მდე: თქვენ შოუ-ბიზნესის მემატიანე ბრძანდებით და თავისუფლად შეგიძლიათ, ქართული შოუ-ბიზნესის ისტორია დაწეროთ.

# გასართობი გვერდი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

① ქვემოთ ჩამოთვლილი მსახიობებიდან რომელი მონაწილეობს ფილმ „მატრიცაში“?

A) ბრედ პიტი B) კიანუ რივზი
C) ბენ აფლეკი D) ტომ კრუზი

② რა სპორტზე დადის პაატა ხაჩიძის ძმა?

A) რაგბზე B) ჩოგბურთზე
C) კალათბურთზე D) ფეხბურთზე

③ რამდენ პერიოდად იყოფა ბრინჯაოს ხანა?

A) სამ პერიოდად B) ორ პერიოდად
C) ხუთ პერიოდად D) ოთხ პერიოდად

④ პირველად სად და როდის ჩაისახა ქრისტიანობა როგორც რელიგია?

A) სომხეთში I ს. B) დას. საქართვ. II ს.
C) რომში I ს. აღმ. საქართვ. III ს.

⑤ რომელი ქვეყანა ესაზღვრება მალტას?

A) იტალია B) საბერძნეთი
C) საფრანგეთი D) არც ერთი

⑥ რამდენი რაიონი შედის სვანეთში?

A) ერთი B) ორი
C) სამი D) ოთხი

## ასოციაციობანა ასოციაციობანა

| | | |
|---|---|---|
| წყურვილი | მიწა | თოკი |
| $H_2O$ | თხრილი | „დავგრეხ თოკსა ...“ |
| სითხე | ჩასავარდნი ადგილი | ქაფი |





ბასა ფოცხიშვილს პირველი სიყვარული 16-17 წლის ასაკში სტუმრებია და ეს სიყვარული საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა.

პირველად პაემანზე თურმე, ბასას შეყვარებულმა წყალბურთის ბურთი აჩუქა. მას ძალიან გახარებია და მოწონებია კიდეც საჩუქარი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. ბასას პირველი სიყვარულიც ასე დასრულდა. ხოლო, ეს წლები კი მის მეხსიერებას ლამაზ მოგონებად შემორჩა.



თურმე, მაია ბარათაშვილი გიჟდება კომპლიმენტებზე. „რაც მეტს მეტყვიან, მით უფრო მოიგებენ ჩემს გულს. მაგრამ აქ ერთი მომენტია, კომპლიმენტი უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. მაგალითად, მელოტ კაცს არ უნდა უთხრათ, თუ რა ხშირი თმა აქვს და ა.შ.“ – აცხადებს მომღერალი.

მაია ასევე გიჟდება საჩუქრებზე. განსაკუთრებით უყვარს, როდესაც ჩუქნიან პარფიუმერიას, ძვირფას სუნამოებს და ყვავილებს. (ასე რომ, გაითვალისწინეთ ეს ყოველივე).



იპოვეთ 5 განსხვავება



## ანეკდოტები

სერიოჟამ სერჟანტს ეუბნება:

– უფროსო, ვერ გადავხტები პარაშუტით.

– რატომ?

– დედაჩემმა სიზმარი ნახა, პარაშუტი არ გაიშლებაო.

გაცვალეს პარაშუტები. გადმოხტნენ, მიწას რომ მიაღწიეს, მიიხედ-მოიხედეს. სერჟანტი აკლიათ, ეძებს და ვერსად იპოვეს. ბოლოს სერიოჟამ თქვა:

– ალბათ ის იყო, ჰაერში რომ ჩამიქროლა და მომაძახა, შენი დედაც და მისი სიზმარიცო.

* * *

სერიოჟა ძმაკაცებმა ფეხბურთის საყურებლად წაიყვანეს სტადიონზე. მას ფეხბურთი არ აინტერესებდა და ჩუმად იჯდა. ძმაკაცმა ჰკითხა:

– შენ რა, ტემპერამენტიანი არა ხარ?

– არა ტო, თოქმაჯიანი ვარ! – იყვირა სეროჟამ.

* * *

მიხოს ეკითხებიან:

– შენი სიდედრი სად წავიდა? დიდი ხანია არ დამინახავს.

მიხო პასუხობს:

– უცხოპლანეტელებმა წაიყვანეს, ხეხილის შესაწამლად, ჯოო!!!

* * *

მეგრელ სტუდენტს (მომავალ ექიმს) ლექტორი ეკითხება:

– დეტალურად განმიმარტე, რა არის ეროზია?

– მაგას რა დაკონკრეტება უნდა, გვარია ოლონდ წინა ასო აკლია – „შ“...

# ჭრელა-ჭრულა ამბები



როგორც იცით, ჯგუფ „Blue“-ს ბოლო კლიპში, რომელიც სინგლ „U Make Me Wanna“-ზეა გადაღებული, უამრავი მოდელი მონაწილეობს. ჰოდა, საუკეთესოთა ასარჩევად მოეწყო გრანდიოზული კასტინგი და კლიპმეიქერთან ერთად ანტონიმ, ლიმ, სიმონმა და დუნკანმა თავიანთი მოსაწონი გოგონები აარჩიეს. გადაღებების დროს ბიჭები გოგონებს კიდევაც წაეარშიყნენ, მაგრამ ეს ფლირტი გადაღებების დასრულებასთან ერთად დამთავრდა.



მომღერალ Mel C-ის თავისი ბოლო კლიპის გადაღებების წინა პერიოდი საშინლად ახსენდება, რადგან მაშინ იგი უმკაცრეს დიეტაზე იყო, ყოველ დილით დარბოდა და სატრენაჟორო დარბაზშიც საკმაო რაოდენობით ოფლს იდენდა, სამაგიეროდ, ვიდეორგოლში იგი ფანტასტიურად გამოიყურება და ახლა მისი ალბომი „Reason“ (მიზეზი) დიდი ტირაჟით იყიდება.



ნიკ კარტერის არ იყოს, ბოლო პერიოდში, პატარა აარონიც ძალიან გასუქდა და ნელ-ნელა ნიკს ემსგავსება. როგორც გაირკვა, ეს ძმები ცომეულის დიდი მოყვარულები არიან და თავისი პროფესიიდან გამომდინარე გვიან ღამით ქეიფობენ – ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში წონაზე აისახება. ახლა უკვე ორივე მათგანს ჰყავს დიეტოლოგი, ვნახოთ ახლა მაინც თუ შეძლებენ ძმები კარტერები სასურველი წონის დაბრუნებას.

# ნელი + კელი და მათი ფანები

კელი როულანდს პოპულარობა და ხალხის სიყვარული არც ტრიო „Destiny's Child“-ში მოღვაწეობისას აკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან სოლო კარიერა წამოიწყო მისი თაყვანისმცემლების რაოდენობა ერთი ათად გაიზარდა და იგი ცნობილ სოლო შემსრულებლად იქცა.



„ადრე უმეტესად ჯგუფის ფანები მყავდა, ახლა კი ჩემი თაყვანისმცემლები მხოლოდ მე მეკუთვნიან, მათ მე ჩემი სოლო სიმღერების გამო ვუყვარვარ და ეს მე ძალიან მახარებს. „ფანები არასოდეს მაწუხებენ, პირიქით ისინი ყველაფერში მხარში მიდ-




განან და სტიმულს მაძლევენ, რომ კვლავ ახალი და საინტერესო მუსიკა შევქმნა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ცნობილი ადამიანების პირად ცხოვრებაში ფანები კი არა, ცხვირს უმეტესად ჟურნალისტები და პაპარაცები ყოფენ, თაყვანისმცემლები კი უბრალოდ ეცნობიან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს, უყურებენ მუსიკალურ გადაცემას და ცდილობენ, რომ მათი კუმირის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოიპოვონ. სხვების არ ვიცი, მაგრამ ხშირად, პირადად ჩემზე პრესაში თუ ტელევიზიაში ბევრ არასწორ რამეს ამბობენ, მე კი არ მინდა, რომ ჩემმა მსმენელებმა ეს შეთხზული ჭორები ირწმუნონ და ჩემზე მცდარი შეხედულება შეექმნათ. იყო პერიოდი, როცა ჟურნალ-გაზეთებს ამის გამო ინტერვიუს არ ვაძლევდი, მაგრამ მივხვდი, რომ დიდხანს ასე გაგრძელება უაზრობა იქნებოდა, რადგან პრესასთან ურთიერთობა ეს მომღერლის ფრომოუშენის ნაწილია და გინდა თუ არ გინდა, მას ვერსად გაექცევი.

რაც შეეხება ფანებთან შეხვედრას, ამას ჩემდა სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებ. ეს ყოველივე კი, როგორც წესი, დროის სიმცირის გამო ხდება ხოლმე, თუმცა, როცა ტურნე მაქვს ვცდილობ, რომ შეძლებისდაგვარად არც ერთი ფანი არ დავტოვო გულნატკენი და ზოგს ავტოგრაფებს ვურიგებ, ზოგთან ერთად კი სურათებს ვიღებ.

სიმართლე გითხრათ, ფანების საჩუქრებით დიდად გათამამებული არ ვარ – უმეტესწილად თაყვანისმცემლები საჩუქრებს კონცერტის დროს მჩუქნიან, საჩუქრები ძირითადად ორი სახისაა: ფუმფულა სათამაშოები და ყვავილები.“

ნელისთან ჩაწერილი დუეტის „Dilemma“-ს გადამკიდე – ეს ორი შემსრულებელი ყოველთვის ერთად მოიაზრება და დღეს თავის ფანებზე ერთ-ორ




სიტყვას ცნობილი რეპერიც გვეტყვის.

„ჩემი ფანები ძირითადად ზანგები არიან. მათ ესმით ის მუსიკა, რომელსაც მე ვქმნი და სწორედ მათი წყალობით რეპ სამყაროში დავიმკვიდრე ჩემი ადგილი, მსოფლიო შოუ-ბიზნესშიც უკვე რაღაცას წარმოვადგენ.

ფანებს ხშირად ვხვდები და ამ შეხვედრებით მართლა დიდ სიამოვნებას ვღებულობ. როცა მათ ვესაუბრები ვხვდები, რომ ჩემი შრომა ნამდვილად არ არის წყალში ჩაყრილი და ძალიან ბევრი ადამიანი მოუთმენლად ელის ჩემი ახალი სინგლის გა-



მოსვლას და იმ დღეს, როცა ჩემს კონცერტს დაესწრება.“

***– როგორ ფიქრობ ბევრი გამაღიზიანებელი ფანი გყავს?***

– არა, უბრალოდ, არიან მსმენელები, რომლებიც ძალიან ხშირად მირეკავენ და მითიშავენ, ზოგი უკან დამყვება, ერთი-ორი შემთხვევა კაცს მართლა არ გააღიზიანებს, მაგრამნ როცა ეს ყოველივე სისტემატურ ხასიათს ღებულობს, მაშინ იგი უკვე ძნელად ასატანი ხდება.

***– შენს ფანებს ძალიან აინტერესებთ თუ რა ურთიერთობა გაქვს კელი როულანდთან?***

– კელისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ უკვე დიდი ხანია რაც ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ.

– როგორც ვიცი, აპირებ, რომ ფანები გაახარო – იქნებ ამის შესახებ უფრო კონკრეტულად გვიამბო?

– ერთ დღეს ჩემს ფანებს შეეძლებათ, ჩემს მაღაზიაში შევიდნენ და რაც მოეწონებათ უფასოდ აიღონ. დარწმუნებული ვარ, ისინი ძალიან ნასიამოვნები დარჩებიან, მე კი ეს მახარებს.

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

# ანეკდოტები

ინტელიგენტი კლიენტი მიმართავს მაღაზიის გამყიდველს:

– კატეგორიულად მოვითხოვთ, უკან წაიღოთ თქვენი სიტყვები.

– უკან ჯიგარო, არაფერს ვიღებთ, შემიძლია გამოგიცვალო.



* * *

**– კირილე, ცოლიანი ხარ?**

**– დროებით.**

**– ეს როგორ?**

**– უფროსი ძმა დასასვენებლად არის წასული და მისი ცოლი ჩემი ძმის მაგივრად მე მეჩხუბება.**

* * *

ქალაქში ჩასული სვანი და მისი ქალაქელი ახლობელი ქუჩაში დასეირნობენ. ბოლოს სვანის თანამგზავრს ნერვებმა უმტყუნა:

– რამდენჯერ უნდა გითხრა, აფთიაქის დანახვაზე პირჯვარს ნუ იწერ-მეთქი!

* * *

**– აა, შეხედე, გადასარევი სმენის აპარატი ვიყიდე ბაზრობაზე ძალიან იაფად.**

**– რამდენი მიეცი?**

**– ექვსს აკლია ოცი წუთი.**

* * *

– მამა, ველურებს პრეზიდენტი თუ ჰყავთ?

– არა, რას ამბობ.

– მთავრობა?

– აბა, ასეთი დამშეულები და გამწარებულები რატომ არიან?

* * *

**– ოფიციანტ, ერთი წუთით!**

**– რა გნებავთ?**

**– ყავა შეიძლება?**

**– მე რა, ექიმი კი არა ვარ, ის ვიცოდე, თქვენთვის ყავა შეიძლება თუ არა.**

* * *

– ზაქრო, ერთი ნაჯახი გადმომიგდე.

– ჰა, გადმოგიგდე...

– რატო ხმას არ იღებ?

* * *

**ექიმი: ისუნთქე... არ ისუნთქო, ისუნთქე... არ ისუნთქო, არ ისუნთქო, არ ისუნთქო... გაიტანეთ... შემდეგი.**

* * *

– რა ღირს წვეთი არაყი? – კითხულობს არკადია ლოთი.

– წვეთი არაფერი, შე კაცო, – პასუხობს გამყიდველი.

– მაშინ ერთი ჭიქა ჩამომიწვეთეთ.

* * *

**– ბავშვებო, რას აფასებთ ჩემში? – კითხულობს ახალგაზრდა მასწავლებელი.**

**– მე თქვენს მკერდს ვაფასებ, მასწ, – წამოხტა გელა.**

**– გაეთრიე!**

**– მე თქვენს ფეხებს, მასწ... – თქვა ფალომ.**

**– გაეთრიე!**

**– შენ, შენ რას აფასებ ჩემში, შალვა?**

**– ხო, კარგით მასწ... მივდივარ... მივდივარ.**

* * *

სვანმა თევზი წყალში მოისროლა

– დაიხრჩოს, ერთი მაგისიო.

* * *

**– მარგარეტ, – მიმართავს პიტერი თანაკოლეჯელს, – მოდი ჩვენთან წავიდეთ!**

**– შენთან რა მინდა?**

**– ყავა დავლიოთ.**

**– ეს გამორიცხულია, რადგან არათუ ჩვენ არ ვიცნობთ ხეირიანად ერთმანეთს, არამედ საერთო ნაცნობებიც კი არა გვყავს.**

**– როგორ თუ არა გვყავს? ალბერტ აინშტაინს იცნობ?**

**– მაგას ყველა იცნობს.**

**– მაშინ წავედით, – უხარია პიტერს.**

# სკანვორდი





... რასელი

კედლის ჭალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრამა ანუ

ძვირფასი მეტალი

ჩოგბურთელი ... გრაფი

მინანქარი ანუ

აქლემის შვილი

მსუბუქი დაცინვა

მტაცებელი ცხოველი

ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივ.

ღმერთების დედა ვედიზმში

ბიბლიური პერსონაჟი

ურანის თანამგზავრი



დადებითი ტექსტროდი

ჭადრაკის ფიგურა

... ელიავა

„ნაუტილუსის“ კაპიტანი

ფრანგი პოეტი

ფული ალბანეთში

კვენტინ ...

ესპანელი პოეტი

სოფელი ნალენჯიხის რ-ში

ზღვის პეიზაჟი

სოფელი აფხაზეთში

სულხან საბა ორბელიანის სოფელი



უდაბნო მონღოლეთში

ქალაქი ესპანეთში

ბიბლიური პერსონაჟი



ძვ.ფრანგული მანძილის საზ. ერთეული

ქაღლის ჯიში

... მაკარტნი

ესპანეთში: გზისპირა სამიკიტნო

ძვ.ფრანგული ფული

ინერტული აირი

მდინარე იტალიაში

ნარნარი ფრენა

გერმანელი მნერალი

ქალაქი საფრანგეთში

ქართული ხურდა

უბანი თბილისში

პოლანდიელი მოჭადრაკე

... მერფი

განუხორციელებელი ოცნება

სახოტბო ლექსი



მდინარე ჩეხეთში

კიმონოს ქამარი

ზონარი ანუ

ბედი, იღბალი

სოფელი ახმეტის რ-ნ

კათოლიკე მღვდელი

მდინარე პოლონეთში

... ტაილერი

ნვნიანი მსხლის ჯიში

მინის ქალღმერთი ბერძ.მით.

დროშა ბაირაღი

თუთიყუშის სახეობა

შუააზიელი ფეოდალი

ბალტიისპირელი მომღერალი ანნე...

ზევსის მეუღლე ბერძ.მით.

კინოთეატრი თბილისში

სირაქლემის სახეობა



... ბესინჯერი

ერთგვარი სამაგიდო თამაში



ქალაქი ფინეთში

ეკონომია ანუ

რეტროსპექტივა ანუ

განთიადი, რიჟრაჟი

ქალაქი იტალიაშია

ფული პერუში

# ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
კინოფილმი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1–B, 2–C, 3–A, 4–C, 5–D, 6–C.

ასოციაციობანა
ჭა.

სკანვორდი მე-13 გვ-ზე
1-11 – და, 2-4 – სი, 2-8 – ტიტანი, 3-4 – ონი, 3-12 – მართი, 4-6 – სატურნი, 4-11 – გიგა, 4-12 – ეს, 5-3 – რუ, 5-8 – ცა, 5-9 – ბუცი, 5-14 – ღალატი, 5-15 – ბავარია, 7-3 – მაია, 7-7 – ოლე, 8-8 – კომა, 9-3 – მარი, 9-13 – კეშა, 10-1 – კომში, 10-8 - ლომი, 11-7 – ბურთი, 11-9 – იონი, 11'-12 – ელემი, 11-12 – ალიონი, 11-13 – კოლტი, 12-5 – უმი, 12-6 – მი, 12-13 – ლია, 14-4 – აგური, 14-5 – ანოფელესი, 14-13 – ემინემი, 15-10 – ბაზარი, 15-13 – მესა.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე
1-10 – კურტ, 1-11 – ბრა, 2-5 – დეპეშა, 2-7 – პლატინა, 2-9 – შტეფი, 3-9 - ემალი, 3-11 – კოზაკი, 4-5 – ირონია, 4-12 – აფთარი, 5-7 - ტიფოზი, 5-14 – ადიტი, 6-2 – ნოე, 6-5 – არიელი, 6-11 – ანოდი, 7-14 – ეტლი, 8-3 – ლია, 8-4 - ნემო, 8-6 – რემბო, 8-10 – ლეკი, 8'-13 – ტარანტინო, 8-13 – ლორკა, 8-14 – ლია, 10-2 - მარინა, 10-3 – ნაა, 10-15 – ტანძია, 11-7 – გობი, 11-8 – სევილია, 11-11 – ევა, 12-4 – ლიე, 12-5 – ლაიკა, 12-6 – პოლ, 12-8 – ვენტა, 13-4 – ლივრი, 13-10 – ნეონი, 13-13 – არნო, 14-8 – ირაო, 15-8 – მანი, 15-10 – ლიონი, 16'-2 – თეთრი, 16-2 – ვაკე, 16-7 – ეივე, 16-12 – ედი, 16-15 – უტოპია, 17-6 - ოდა, 17-11 – ოდრა, 17-13 – ობი, 18-2 – თასმა, 18-3 – სვე, 18-5 – ომალო, 18-15 – პადრე, 18'-16 – ინა, 18-16 – ლივ, 19-4 – გულაბი, 19-5 – გეა, 19-11 – ალამი, 20-1 – არა, 20-3 – ბაი, 20-11 – ვესკი, 21-6 – პერა, 21-12 – ქოლგა, 21-14 – ემუ, 22-9 – კიმ, 22-12 – ლოტო, 23-5 – ლაპტი, 23-9 - მნე, 23-12 – რეტრო, 24-8 - ალიონი, 25-5 – ბარი, 25-7 - ინტი.

სკანვორდი მე-15 გვ-ზე
1-5 – კოპი, 1-12 – ასაკი, 2-5 – მოხუცი, 3-11 – და, 5-4 – მეფე, 5-15 – გიორგი, 6-2 – რომი, 6-3 – ომი, 6-4 – ანა, 6'-13 – ფატა, 6-13 – "ფლეში", 7-5 – ინდირა, 7-9 – კოლი, 7'-14 – იო, 7-14 – ირაო, 8-2 – კიმ, 9-6 – ნაკლი, 9-7 – დაისი, 9-16 – ერთი, 10-1 – იარდი, 10-16 – ნავი, 11-6 – ქადილი, 11-7 – კივი, 11-12 – ია, 11-15 – ნაძვი, 13-6 – კარე, 13-12 – რეი, 14-5 – ირბისი, 14-6 – იანკი, 14-8 – სი, 15-10 – ერი, 15-12 – დუ.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე
1-7 – თმა, 1'-10 – ბოა, 1-10 – ვირი, 2-12 – ორი, 3-4 – [illegible], 3-5 – ნაგიევი, 3-7 – აჩი, 4-11 – ობელისკი, 4-12 – სერ, 5-12 – ლორდი, 6-2 - ხარება, 6-3 – [illegible], 6-4 – ლი, 6-10 – ბაგირა, 7-8 – ვუდი, 7-13 – ლიანა, 7-15 – რა, 7-16 – არი, 8-2 – [illegible], 8-10 – [illegible], 8-13 – [illegible], 8-13 – [illegible], 9-2 – [illegible]ლა, 9-5 – [illegible], 10'-5 – [illegible], 10-5 – [illegible], 10'-13 – [illegible], 10-13 – [illegible], 13-7 – ასი, 13-9 – მიმა, 13-11 – ემულსია, 14-13 – ხე, 15-5 – რენესანსი, 15-7 – ისააკი.

## ანეკდოტები

– თავს გამპარსავ, ძამა? – მიადგა გურული პარიკმახერს.
– ქუდს თუ მეიხდით, კი.
– რავა, კეტარი გყავენ სადმე?!

* * *

ჯეკას სახლში თავისი საცოლე მიჰყავს, მშობლებს რომ აჩვენოს.
– დედა, სესილი შესანიშნავი გოგონაა, სისუფთავე უყვარს, ყველაფერი ეხერხება...
– ძალიან კარგი, ჯეკ, ყოველ სამშაბათს და შაბათს მოვიდეს და დღეში 20 ფრანკს გადავუხდით.

* * *

კახელი და ქართლელი ქეიფობენ, კახელი ამბობს:
– მოდი, ამ ჭიქით ჩვენს ფეხბურთს გაუმარჯოს;
– გაუმარჯოს! – დაუმატა ქართლელმა.
ქართლელი ადგა და წასასვლელად გაემზადა, კახელმა მიახარა:
– მაიცა, ჯო! მკვდარზე გაჩერება არ შეიძლება.
რაღას იზამდა ქართლელი, დარჩა და გააგრძელეს ქეიფი.

* * *

– მიხო, სად იყავი ჯო, დილით გეძახდი და ვერ გაგაგონე!...
– როგორ გამაგონებდი, „სუხარსა“ ვჭამდი!..

# სკანვორდი



# ს კ ა ნ ვ ო რ დ ი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ის, რაზეც ამდენხანს ოცნებობდით!

მათ, ვინც შეაგროვეთ ბარათები 01 და 02 დარეკეთ "ფან-კლუბის" რედაქციაში დღეს, 3 აპრილს 19 სთ-ზე და შეხვდით ნინი ქარსელაძეს "ძალიან მაგარ კლუბში"!

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 15-დან 16 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"

## აბა, გამოიცანი






ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 17 საათიდან. ტელ: 98-95-79